



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 21

2016 წლის 7 მარტი

ხაშური




შშმპ თამარ გასიშვილისათვის კომპიუტერის (ნოუთბუქი lenovo ideapad 100-15 iby) გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშური, გაგარინის ქ. №86 ბინა №14-ში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თამარ გასიშვილს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება, მისთვის კომპიუტერი გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი საშუალებაა. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შეძენილ იქნა ერთი ცალი კომპიუტერი (ნოუთბუქი), რომლის თამარ გასიშვილისათვის გადაცემა საჭიროებს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 524-ე მუხლის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის 2015 წლის 25 დეკემბრის №729/09 მოხსენებითი ბარათის შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი ერთი ცალი ნოუთბუქი (lenovo ideapad 100-15 iby) სარგებლობის უფლებით, ჩუქების ფორმით, უვადოდ გადასცეს შშმპ თამარ გასიშვილს.
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე